ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი - ნაწილი II

დღის წესრიგი

შეხვედრის ოქმი

24 თებერვალი, 2022

10:45-11:00	რეგისტრაცია

11:00-11:15	ფორუმის გახსნა

რევაზ ჯაველიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

ქეთი ცანავა - OGP საქართველოს სამდივნო

გიორგი ონიანი - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

11:15-12:30	ღია მმართველობა საქართველოს 2022-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა

თემატური მიმართულება: სოციალური დაცვა

- საცხოვრისის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება
- უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა
- შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციისა და სათემო სერვისების შემუშავების მეშვეობით
- განვითარების პროექტებით გამოწვეული გამოსახლებისა და განსახლების სტანდარტების შექმნა
- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო და სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული განაცხადების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა

12:30 -14:00	ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება - სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა/დისკუსია

- *ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო*

- *ინიციატივების წარმდგენი სახელმწიფო უწყებები*

14:00-14:20	შესვენება

14:20 -15:00	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა ღია მმართველობა საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში

- *ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო*
- *მუნიციპალიტეტები*

15:00	შეხვედრის დახურვა - სამომავლო გეგმებზე შეთანხმება

ფორუმის გახსნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, როგორც ღია მმართველობის რეფორმის მაკოორდინირებელმა უწყებამ, ღია მმართველობა საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის - ფორუმის შეხვედრას უმასპინძლა.

ფორუმი გახსნეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ რევაზ ჯაველიძემ, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ გიორგი ონიანმა და ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა ქეთევან ცანავამ.

რევაზ ჯაველიძე მიესალმა კოლეგებს და მათ მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის. როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა აღნიშნა, 2022 წლის 21 იანვარს გამართულ შეხვედრაზე, ინიციატივების სიმრავლისა და მაღალი აქტივობის გამო, სრულად ვერ დაიფარა ყველა წარმოდგენილი საკითხი, შესაბამისად, საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრის ორგანიზება.

ქეთევან ცანავა მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და მიაწოდა ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ფორუმის ბოლო შეხვედრის შემდგომ გადაიდგა. როგორც ქეთი ცანავამ აღნიშნა, რიგი საკითხების განხილვის მიზნით, თემატური ვიწრო სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

გამართული შეხვედრებიდან ერთ-ერთი შეეხებოდა გარემოსდაცვით საკითხებს. აღნიშნული შეხვედრის მონაწილეები კი იყვნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები - მწვანე ალტერნატივა და სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ქეთევან ცანავამ მადლობა გადაუხადა მათ წარმომადგენლებს აქტიური თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ შეხვედრებზე სამი ძირითადი საკითხი განიხილეს:

1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო ისნპექტირებების თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის დახვეწა;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად ელექტრონული სისტემის შექმნა.

როგორც სამდივნოს უფროსმა განაცხადა, მწვანე ალტერნატივამ სამდივნოს კონკრეტული წინადადებები წარმოუდგინა, რომლებიც ამჟამად, განხილვის მიზნით, სამდივნოს მიერ გადაგზავნილია შესაბამის უწყებასთან. ასევე, აღინიშნა, რომ სოციალური სამართლიანობის ცენტრისგან სამდივნო ელოდება დაკონკრეტებულ პოზიციას ინსპექტირების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ინიციატივას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აღნიშნული საკითხი ახალ სამოქმედო გეგმაშიც აისახება.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ასევე ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე:

1. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საჯარო ინფორმაციის/სერვისების ხელმისაწვდომობის და უმცირესობების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ პოლიტიკურ/საზოგადოებრივ პროცესებში;
2. უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინკლუზიისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა პარლამენტისა და მთავრობის დონეებზე;
3. ეთნიკურად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება საჯარო სექტორში დასაქმების და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის სხვადასხვა სფეროებში.

ვიწრო სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეხვედრას ესწრებოდნენ სოციალური სამართლიანობის ცენტრის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრის აპარატის, საჯარო სამსახურის ბიუროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციას მიკუთვნებული ზოგიერთი საკითხი, მნიშვნელოვანია, OGP-ის სამოქმედო გეგმაში აისახოს.

ასევე, თარგმნის რესურსებთან დაკავშირებით, ქეთი ცანავამ აღინიშნა, რომ სამდივნომ საკითხი დონორ ორგანიზაციებს მიაწოდა და შესაძლებელია, ინიციატივა საპილოტედ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდეს.

რაც შეეხება ინიციატივას საკონსულტაციო მექანიზმთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ შესაძლებელია, პარლამენტის ნაწილში ინიციატივა გადავიდეს OGP პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ხოლო, რაც შეეხება სამთავრობო დონეზე საკონსულტაციო მექანიზმებს, უახლოეს მომავალში სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენს დოკუმენტს, თუ კონკრეტულად რას მოიცავს მათ მიერ შემოთავაზებული ინიციატივა.

რაც შეეხება ეთნიკურად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოებას, სამუშაო ჯგუფში განხილვების შედეგად, გამოიკვეთა, რომ საჭიროა საკითხი თემატურად ჩაიშალოს. როგორც განხილვებმა ცხადყო, ორი თემის - ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების რამდენიმე სერვისი და ამ მიმართულებით სტატისტიკის დამუშავება მაღალი პრიორიტეტულობისაა.

შეხვედრა გაიმართა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნების შესახებ ინიციატივის განსახილველად. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრის შემდგომ IDFI-მ სამდივნოს გაუზიარა პორტალის განახლების მოკლე მიმოხილვა, რომელიც მიწოდებულია საჯარო სამსახურის ბიუროსთვის. ასევე, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო საკითხს დაამუშავებს რესურსების მოცულობის იდენტიფიცირების თვალსაზრისით და, სამომავლოდ, საჭირო იქნება კიდევ ერთი შეხვედრა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის.
სამდივნოს უფროსის მიერ აღინიშნა, რომ რამდენიმე საკითხი წერილობით შეთანხმების პროცესშია:

1. სსიპ - შრომის ინსპექციის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების პროაქტიულად გამოქვეყნება - აღნიშნულზე კომუნიკაცია შედგა სოციალური სამართლიანობის ცენტრთან;

2. საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა - IDFI-მ აღნიშნულზე წარმოადგინა დაკონკრეტებული შემოთავაზება, თუმცა, გამოიკვეთა დამატებითი შეხვედრის ჩანიშვნის აუცილებლობა;
3. სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემების გამჭვირვალობის გაზრდა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა წარმოადგინა დაზუსტებული წინადადება და კარგი პრაქტიკა, რომელსაც ამჟამად სამდივნო განიხილავს;
4. საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა - უწყებამ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინა ინიციატივის განახლებული ფორმულირება, რომელიც გადაეგზავნა ინიციატორ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ღია მმართველობა საქართველოს 2022-2023 წწ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა

თემატური მიმართულება: სოციალური დაცვა

ინიციატივა: საცხოვრისის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ინიციატივა: უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა

სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა მარიამ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ საცხოვრისთან დაკავშირებული რეკომენდაცია OGP-ის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაშიც იყო ასახული. მარიამ ჯანიაშვილმა ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა კითხვით, აქვს თუ არა სამინისტროს ამ თემაზე ხედვები და რამდენად არის დაგეგმილი შესაბიმისი აქტივობები, რამდენადაც, მისი ინფორმაციით, სამინისტრო გეგმავს საკანონმდებლო ცვლილებებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც არანაკლები მნიშვნელობის მქონეა.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის სამმართველოს წარმომადგენელმა თეა გვარამაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მათ შორის, USAID-ის და ISET-ის მხარდაჭერით განხორციელდა კვლევები. მისთვის ცნობილია, რომ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას უწყება, მათ შორის მონაცემთა ბაზის წარმოებასთან, საკანონმდებლო დონეზე დეფინიციასთან დაკავშირებით. ასევე, არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, ინფორმაციის შეგროვებისა და მიზეზების კვლევის ნაწილში. შესაბამისად, განხორციელებული პრობლემების კვლევის შედეგად, უწყებამ საჭიროდ ჩათვალა პირველ რიგში ცვლილებების საკანონმდებლო დონეზე ასახვა, რისთვისაც მიმდინარეობს სოციალური კოდექსის შემუშავება. ვინაიდან საკითხები მრავალფეროვანია, პირველ ეტაპზე, დაიწყო თემატიკის იდენტიფიცირება სამუშაო ჯგუფების შესაქმნელად. თეა გვარამაძემ აღნიშნა, რომ საცხოვრისის პოლიტიკასთან დაკავშირებით უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მიეწოდა ამ თემის გარშემო არსებული ყველა სახის კვლევა და საუკეთესო პრაქტიკა. შესაბამისად, მისი პოზიციით, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა ფარავს ორ ზემოაღნიშნულ ინიციატივას - *საცხოვრისის სფეროში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას* და

უსახლკარობისა და საცხოვრისის პოლიტიკის სფეროში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნას. შესაბამისად, უწყება სთავაზობს ინიციატორ ორგანიზაციას, აღნიშნული საკითხები სამინისტროს მიერ საკანონმდებლო ცვლილებისათვის შექმნილ სამუშაო ჯგუფის ფორმატში განიხილოს.

მარიამ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ არსებითად მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, რადგანაც კანონმდებლობა ვერ ასახავს ყველა საკითხს სრულად. შესაბამისად, მისი აზრით, აუცილებელია, რომ მოცემული ინიციატივები დარჩეს და განხორციელდეს სოციალური კოდექსის პარალელურად. აქვე, მან აღნიშნა, რომ სტატისტიკის შესახებ ინიციატივის ნაწილში იზიარებს საკანონმდებლო რეგულირების საჭიროებას, თუმცა ამ ნაწილშიც დაადასტურა ინიციატივის წარმოდგენილი ფორმით არსებობის საჭიროება.

უწყება და არასამთავრობო ორგანიზაცია თანხმდებიან, რომ სტატისტიკასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომები არ არსებობს, რაც არ იძლევა საშუალებას, რომ დამუშავებული იყოს არსებული მონაცემები.

თეა გვარამაძის პოზიციით, პირველ ეტაპზე საჭიროა საკანონმდებლო რეგულირება იმის შესახებ, თუ რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი სტატისტიკის შეგროვებაზე და როგორ მოხდება უწყებებს შორის კოორდინირება.

თათული ჭუბაბრიას მოსაზრებით, სოციალური კოდექსის პროექტზე მუშაობა გარკვეული პერიოდია მიმდინარეობს, ჩატარებულია საჭიროებების კვლევა და იდენტიფიცირებულია საკითხები, რომლებსაც კოდექსი უნდა მოიცავდეს, შესაბამისად, უკვე სასურველია, უწყებამ დააინიციროს ის, რათა შესაძლებელი იყოს მასში არსებული ინფორმაციის საჯაროდ და დეტალურად განხილვა.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) წარმომადგენელმა ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ მარეგულირებელ სისტემაზე მუშაობა არის პოლიტიკის ნაწილი. შესაბამისად, მომავალ სამუშაო გეგმაში შესაძლებელია გაიწეროს საკანონმდებლო დონეზე თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესების აუცილებლობა და უშუალოდ ის საკითხები, რომლებიც ეხება სისტემატიზაციას სხვადასხვა დონეზე, მათ შორის კოორდინირების მექანიზმები და სხვა.

ინიციატივა: შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციისა და სათემო სერვისების შემუშავების მეშვეობით

თეა გვარამაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხს უწყება სრულად იზიარებს და გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასაც, თუმცა, აქვე გამოთქვა სურვილი გაკეთდეს მცირე ჩასწორება ინიციატივის აღწერილობით ნაწილში; კერძოდ, განმარტებიდან ამოღებული იყოს ფრაზა „ფსიქოსოციალური საჭიროება“ და მთლიანად ინიციატივა შეეხოს დიდი ზომის ინსტიტუციებში მყოფი შშმ პირების ალტერნატიულ სერვისებში განთავსებას და საზოგადოებრივ ცხოვრებში ჩართულობას, ვინაიდან დაგეგმილი აქტივობები არის უფრო ფართო.

მარიამ ჯანიაშვილმა დასვა კითხვა, თუ რამდენად მიემართება სიახლეები უშუალოდ ფსიქიატრიულ დაწესებულებებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუციებს, რაზეც **ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ქეთევან გოგინაშვილმა** აღნიშნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოყოფა ვერ იქნება მიზანშეწონილი და შშმ პირთა საცხოვრებლების დეინსტიტუციონალიზაცია და ფსიქიკური

ჯანმრთელობის საკითხები მოიაზრება ერთი ქუდის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გასულ წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებისთვის აშენდა და მიმდინარე წელსაც იგეგმება სპეციალური საოჯახო ტიპის სახლის აშენება.

მარიამ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ის ემხრობა ერთიანი პოლიტიკის არსებობას, თუმცა მისთვის არსებული ინფორმაციით, მოცემულ ერთიან მიდგომაში მოიაზრება მხოლოდ პანსიონებზე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და სამომავლო ნაბიჯები არ ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების ინსტიტუციებს.

ქეთევან გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ერთიანი კონტექსტის არსებობა რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით და სამინისტროს მიერ წარდგენილი სტრატეგიის ნაწილი იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია.

თეა გვარამაძემ დამატებით ხაზი გაუსვა, რომ უწყების მიერ დაგეგმილი აქტივობები არის სრულებით რელევანტური ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებისათვის და, შესაბამისად, სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები მოიცავს ამ პირებთან დაკავშირებით ღონისძიებების განხორციელებასაც.

ინიციატივა: განვითარების პროექტებით გამოწვეული გამოსახლებისა და განსახლების სტანდარტების შექმნა

მარიამ ჯანიაშვილის განმარტებით, აღნიშნულ ინიციატივას საფუძვლად საერთაშორისო სტანდარტები უდევს. მათ შორის, გაეროს ფარგლებში მოქმედი არაერთი რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს სხვადასხვა პროექტის გამო უწევთ საკუთარი საცხოვრებლის დატოვება და გადასახლება, არსებობდეს შესაბამისი ნორმები, მათ შორის, განსახლებამდე და გამოსახლებამდე ადგილობრივ მოსახლეობასთან პროექტების განხილვა, გამოსახლების პრევენცია, აქტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან უშუალოდ პროექტების განხორციელების დროს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლების თავიდან აცილება ვერ ხერხდება, მოსახლეობის დაუყოვნებელი უზრუნველყოფა რელევანტური ალტერნატიული საცხოვრებლით.

თათია ჭუბაბრიამ აღნიშნა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი შუქრუთის დაზარალებულებთან კომუნიკაციამ და იქ მდგარმა საკითხებმა კერძო კომპანიასა და მაცხოვრებლებს შორის ცხადყო, რომ სახელმწიფო სტანდარტების არსებობა საჭიროა.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, დავით კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი ფართოა და მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციას სცდება. მისი პოზიციით, ამ ინიციატივაზე მსჯელობაში უნდა ჩაერთონ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ასევე, ამ საკითხში დიდია მუნიციპალიტეტების როლი. ის ადასტურებს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო უნდა იყოს ჩართული სტანდარტების შექმნის ნაწილში, მხოლოდ როგორც პარტნიორი უწყება.

მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელმა ქეთევან გუჯარაიძემ აღნიშნა, რომ განსახლება ხდება სამი მიზეზით - ბუნებრივი კატასტროფები, კონფლიქტები და ხსენებული განვითარების პროექტები. ვინაიდან პირველ ორ საკითხზე პასუხისმგებელია ჯანდაცვის სამინისტრო, მიზანშეწონილად მიაჩნია

მესამე საკითხზეც იმუშაოს ამავე უწყებამ. მან ხაზი გაუსვა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციის არსებობა, რომელიც გააკონტროლებს განსახლებული პირების უფლებების დაცულობას, შეიმუშავებს და შემდგომ მიყვება სახელწიფო სტანდარტებს ამ პირების ინტერესების შელახვის თავიდან ასაცილებლად. როგორც ქეთი გუჯარაიძემ განმარტა, საქართველოს რეალობაში ეს საკითხი დაყვანილია ექსპროპრიაციის კანონმდებლობამდე, რაც გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი არ არს თანახმა შეთავაზებულ პირობებზე და არ გადის საცხოვრებლიდან მიუხედავად შემოთავაზებისა, რაც უკიდურესი ვითარებაა.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლევან ფანიაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ სტანდარტების შემუშავების მაკოორდინირებელი უწყების განსაზღვრა, ხოლო შემდგომ შემუშავებული სტანდარტებით უფრო ნათლად გამოიკვეთება, თუ რომელი უწყება შეიძლება განისაზღვროს მის აღსრულებაზე პასუხისმგებლად. შესაბამისად, მისი პოზიციით, ამ ეტაპზე, მისაღები იქნება ასეთ უწყებად ჯანდაცვის სამინისტრო განისაზღვროს, ამასთან, ინიციატივა მოდიფიცირდეს და განსახლების სამივე მიმართულება დაფაროს.

ქეთევან ცანავამ მხარეებს დაუდასტურა, რომ წამყვანი უწყების იდენტიფიცირების მიზნით, OGP საქართველოს სამდივნო გააგრძელებს კომუნიაციას ყველა ხსენებულ უწყებასთან.

ინიციატივა: რეფერალური მომსახურების სახელმწიფო და სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული განაცხადების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა

ქეთევან გოგინაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე მუშაობის ინტერესი აქვს ჯანდაცვის სამინისტროს, თუმცა ამისათვის არსებითად მნიშვნელოვანია დონორული ორგანიზაციების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა, რის გარეშეც, ვერ განხორციელდება ინიციატივა. მისი პოზიციით, დღეისათვის ეს არის კარგად აწყობილი სისტემა, რომელშიც თავს იყრის დიდი ოდენობით მონაცემები, თუმცა სჭირდება გაძლიერება ანალიტიკური მიმართულებით, მონაცემთა ადეკვატურად დამუშავებისა და ვიზუალიზაციის თვალსაზრისით, შეჯამებული ინფორმაციის ვებსაიტზე განსათავსებლად.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა დავით მაისურაძემ აღნიშნა, რომ IDFI მზადაა ჩაერთოს ამ პროცესში და დაეხმაროს უწყებას ინიციატივის განხორციელებაში, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი კომუნიკაცია.

ინიციატივა: ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობა (ინიციატორი: UNDP)

ქეთევან ცანავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ეხება ვებგვერდების ერთიან სისტემაში მოქცევას და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას. UNDP-ის ინიციატივა მიემართება საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს. როგორც სამდივნოს ხელმძღვანელმა განმარტა, საჭიროა პასუხისმგებელი უწყების იდენტიფიცირება. დასახელებული უწყებების პირველად პოზიციებს კი სამდივნო ფორუმს უახლოეს მომავალში წარუდგენს.

UNDP-ის წარმომადგენელმა მარიამ თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ინიციატივის წარდგენამდე, სამთავრობო და არამხოლოდ სამთავრობო ვებგვერდებისა და აპლიკაციების მისაწვდომობასთან

დაკავშირებით გაიდლაინის შემუშავებასა და მათ შორის, სიტუაციის ანალიზზე UNDP-მ პარლამენტთან ერთად იმუშავა. ასევე, UNDP-ის საერთაშორისო ექსპერტს შემოთავაზებული აქვს შესაბამისი კანონის პროექტიც. შედეგად, ამ ეტაპზე, საჭიროა მთავრობისა და პარლამენტის ერთობლივი საქმიანობა ინიციატივის აღებასა და მის პრაქტიკაში მოსაყვანად. მისი ინფორმაციით, პარლამენტს აღნიშნულ საკითხზე აქვს მზაობა.

ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის შემუშავება - სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხილვა

თემატური მიმართულება: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ინიციატივა: საჯარო გამოქვეყნება mygov.ge-ზე

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლის ლევან გელაშვილის განმარტებით, უწყების ინიციატივაა არსებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის mygov.ge-ს გამოყენება, სადაც დაახლოებით 275 000 მომხმარებელია რეგისტრირებული და 700-მდე მეტი ელექტრონული სერვისია ხელმისაწვდომი. ინიციატივა მოიაზრებს, რომ პორტალის ტექნიკური მოქნილობის გათვალისწინებით, მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია ელექტრონული სახით, ან სმს-ის ან/და ელ.ფოსტის სახით. როგორც ლევან გელაშვილმა აღნიშნა, ტექნიკურ საკითხებამდე, საჭიროა საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელება. მისი თქმით, უწყებამ შეიმუშავა სამართლებრივი აქტის სამუშაო ვერსია, თუმცა, ის ფართოდ განსახილველად უწყებებში ჯერ არ გაგზავნილა. მან ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან, სხვა სამოქმედო გეგმების ფარგლებში აქტივობის განხორციელების პროცესი არ დაწყებულა, მიზანშეწონილია აღნიშნული ინიციატივის ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება, შესაბამისად, უწყება განაგრძობს მუშაობას, როგორც მთავრობის ადმინისტრაციასთან, ისე საკითხში ჩართულ სხვადასხვა უწყებასთან.

საკითხს გამოეხმაურა საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს დირექტორის მოადგილე გიორგი ონიანი, რომელმაც ინიციატივის განხორციელება ლოგიკურ და ბუნებრივ პროცესად შეაფასა, თუმცა, დასძინა, რომ ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ამბიციურ და მნიშვნელოვან ვალდებულებებს, რომლებიც, რომ არა აღნიშნული პლატფორმა - ვერ განხორციელდებოდა.

ინიციატივა: საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა საქართველოს ნავსადგურებში

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელმა ნათია მიმინოშვილმა განმარტა, რომ ნავსადგურში გემის შესვლის/გასვლის დროს შესავსებია ასობით ფორმა და საჭიროა სხვადასხვა გზით მათი მიწოდება საჯარო თუ კერძო უწყებებისათვის. ე.წ clearance კი ხორციელდება 72 სთ-ის განმავლობაში, ხოლო „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დანერგვის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შემცირდება დაახლოებით 4 სთ-მდე. უწყების წარმომადგენლის განცხადებით გარკვეული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით უკვე გადაიდგა, აშშ საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა მიზანშეწონილობის კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არსებული სიტუაციის ანალიზის შესწავლა.

ნათია მიმინოშვილს გამოეხმაურა **საერთაშორისო გამჭვირვალობის წარმომადგენელი გიორგი ონიანი**, რომელმაც პოზიტიურად შეაფასა უწყების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები „ერთი

ფანჯრის პრინციპთან“ დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ, მისი მოსაზრებით, აღნიშნულ ინიციატივას კავშირი არ აქვს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმასთან. როგორც ონიანმა განმარტა, სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობის ადმინისტრაცია პრინციპების დონეზე უნდა შეთანხმდნენ, თუ რა სახის სამოქმედო გეგმის შემუშავება იგეგმება, ვინაიდან, სამოქალაქო საზოგადოების სურვილია შემუშავდეს ვარსკვლავური ვალდებულებებით გაჯერებული სამოქმედო გეგმა.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა ქეთი ცანავამ აღიშნა, რომ მიმდინარე შეხვედრის მიზანია თითოეული ინიციატივის განხილვა-დაზუსტება, რის შემდეგაც გამოიკვეთება რიგი საკითხები, რომელიც შესაძლოა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში ვალდებულებად არ გაიწეროს.

დისკუსიის ფარლგებში აკადემიის სფეროდან, **საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნანი მაჭარაშვილმა** დასვა დამაზუსტებელი კითხვა იმ ინიციატივებთან დაკავშირებით, რომლებიც ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ფორმატს სცდება. მისი შემოთავაზებაა, ინიციატორმა უწყებებმა წარმოადგინონ არგუმენტი/ხელის შემშლელი პირობა, რაც მათ მიერ გაჟღერებული ინიციატივის განხორციელებას უშლის ხელს და ამ ლოგიკით გამოიკვეთოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში მათი გათვალისწინების აუცილებლობა.

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელმა ნათია მიმინოშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივის განხორციელება მნიშვნელოვანია, თუმცა, ის ინოვაციურად შესაძლებელია არ ჩაითვალოს, რადგან შავი ზღვის აუზის ზოგიერთ ქვეყანაში ის დანერგილია, არსებობენ დონორებიც და საკითხში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებიც.

დისკუსიის ფარგლებში **ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელმა ქეთი ცანავამ** მაგალითად მოიყვანა წარსული გამოცდილება, როდესაც ნაკლებად ინოვაციური ვალდებულები, რომლებიც სამოქმედო გეგმაში აისახა, საშუალებას აძლევდა ინიციატორ უწყებებს დონორული მხარდაჭერის მოძიებაში. სამდივნოს ხელმძღვანელმა უწყებებს მოუწოდა გააჟღერონ ყველა საჭიროება და არგუმენტაცია, თუ რატომ უნდა აისახოს მათი ინიციატივა სამოქმედო გეგმაში ვალდებულების სახით.

თემატური მიმართულება: უსაფრთხო გარემოს შექმნა

ინიციატივა: ეფექტური პრევენციული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თამარ მაღრაძის განმარტებით, უწყებაში ეტაპობრივად ინერგება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის მიზანია პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერება, ამასთან შემუშავებულია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წწ სტრატეგია, რომელიც მოიცავს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების მიმართულებას. როგორც თამარ მაღრაძემ აღნიშნა, აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოებასა და სამართალდამცავებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

თემატური მიმართულება: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ინიციატივა: ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და საჯარო სერვისების უზრუნველყოფის გაზრდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თამარ მაღრაძის განცხადებით, მომსახურების სააგენტოს ერთ-ერთი გამოწვევაა ციფრული, დისტანციური სერვისების განვითარება და მომხმარებლისთვის სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების (მაგ. ცნობები) ელექტრონულად ხელმისაწვდომობის დანერგვა, რაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მოთხოვნადი და აუცილებელი გახდა. მაღრაძის განცხადებით, უწყების ერთ-ერთი მთავარი ამბიციაა მაქსიმალურად დიდი ოდენობის სივრცეების სრული ან/და ნაწილობრივი დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა,ს რაც ერთი მხრივ, უსაფრთხო გარემოს შექმნის, ხოლო მეორე მხრივ, სერვისებს გააუმჯობესებს.

ინიციატივა: პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (ProQA) დანერგვა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თამარ მაღრაძის ინფორმაციით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სატელეფონო კონსულტაციისა და პირველადი დახმარების ინსტრუქციის გაცემის მექანიზმის გაუმჯობესება. მისი თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს „112"-ის მომსახურების პრიორიტეტიზაცია, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია შემოსული ზარების როგორც პრიორიტეტიზაცია, ისე, რეკომენდაციების გაცემა. მაღრაძის განცხადებით გამოწვევების მოგვარება შესაძლებელია ინციდენტის ზუსტი პრიორიტეტის განსაზღვრის გზების დახვეწითა და სატელეფონო კონსულტაციის კომპონენტის შემოღებით, სწორედ ამ ორ მიმართულებას აერთიანებს PDS პროტოკოლები და პროგრამული უზრუნველყოფა ProQA.

ინიციატივა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საპატრულო პოლიციის და დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის საპოლიციო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა და სრულყოფა (გაუმჯობესება)

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თამარ მაღრაძის თქმით, უკვე დაწყებულია მუშაობა შშმ პირთა მომსახურების სტანდარტის სახელმძღვანელოს შესამუშავებლად, რაც ჟესტების ენაზე საჯარო კომუნიკაციის აუცილებელი ტერმინოლოგიის შექმნას მოიაზრებს, ამასთან, აუცილებელია თანამშრომელთა კომპეტენციების განვითარება და როგორც უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, თანამშრომელთა დიდი ნაწილი ამ მიმართულებით უკვე გადამზადებულია.

თამარ მაღრაძის განცხადებით წარმოდგენილ ინიციატივებს შორის ყველაზე ინოვაციურია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიმართულებით წარმოდგენილი ინიციატივა, რაც ასევე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულების ნაწილია, ამასთან, მნიშვნელოვანია დონორული მხარდაჭერის მოძიების აუცილებლობა.

ინიციატივა: გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დიჯიტალიზაცია

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა გიორგი მუნჯიშვილმა განმარტა, რომ ინიციატივა მოიცავს საჯაროობის უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მექანიზმის, ასევე, მომხმარებელზე ორიენტირებული ვებგვერდის დახვეწის საკითხებს. როგორც უწყების წარმომადგენელმა განაცხადა, აქტუალური და მნიშვნელოვანი რჩება ხარისხის გარე

მექანიზმების დიჯიტალიზაციის საკითხი. მუნჯიშვილის განმარტებით, უწყება მუშაობს პლატფორმაზე, რომლის მიზანი, გარდა ინფორმაციის დახვეწილი მეთოდებით მიწოდებისა და ინფორმაციის გასაჯაროებისა, არის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა.

საკითხი განავრცო **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსმა სალომე აბრამიშვილმა**. მისი განცხადებით, პანდემიამ დააჩქარა ისეთი სისტემის შემუშავების საჭიროება, საიდანაც შეძლებდნენ მოქალაქეების ელექტრონულად მომსახურებას და ამ მიზნით დაჩქარებულად ითანამშრომლეს **my.gov.ge**-სთან. შედეგად, 2020 წლის თებერვლიდან 5 ყველაზე მოთხოვნადი სერვისი განთავსდა **my.gov.ge**-ის პორტალზე. უწყების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული არხი მომართვიანობის თვალსაზრისით არ აღმოჩნდა ეფექტური, ვინაიდან პორტალს რთული ავტორიზაციის და ელ.ხელმოწერის სისტემა აქვს, რაც აფერხებდა მოქალაქეებისთვის პორტალის სარგებლობის შესაძლებლობას, შესაბამისად, ალტერნატიულ გზად მიიჩნიეს საკუთარი პორტალის შექმნა, რომელიც მოქალაქეებს ძირითად 10 სერვისს შესთავაზებდა.

ინიციატივა: კვალიფიციური შეფასების და გამოცდების სისტემის განვითარება

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ წარმომადგენლის გიორგი ლობჟანიძის განცხადებით, მათ მიერ წარმოდგენილი ინიციატივა სრულად ინოვაციური და ამბიციურია, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის. უწყების წარმომადგენლის განმარტებით, შექმნილია შეფასებისა და გამოცდების ელ. პლატფორმა, რომელიც მოიცავს ინოვაციურ და ღია ტექნოლოგიებს, რაც გულისხმობს, რომ ქართული სისტემა თავსებადი და ღია იქნება საერთაშორისო სისტემებისთვის. მისი თქმით, ღია ტექნოლოგიების განვითარება როგორც საქართველოსთვის, ისე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის პრიორიტეტული საკითხია, თუმცა, საქართველოს უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ღია ტექნოლოგიების შერჩევით და პარალელური სისტემის პილოტირებით, შეიქმნა სრულად ელექტრონული და თავსებადი სისტემა. ლობჟანიძის მოსაზრებით, განათლების სფერო სრულად მოექცა ციფრული ტრანსფორმაციების გარემოცვაში და ახლა, შესაძლებელია, რომ სერვისი გამოვიყენოთ როგორც საგანმანათლებო, ისე კომერციული მიზნებისთვისაც.

ინიციატივა: ელექტრონული სერვისის დანერგვა საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მუნიციპალიტეტების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, პროექტი გულისხმობს მუნიციპალიტეტების დონეზე არა მარტო ელ. მოდულების და სისტემის განვითარებას, არამედ ადგილობრივად სამუშაო სივრცეების და ბიზნეს პროცესების ერთიან სისტემაში მოქცევას და მოქალაქისთვის ელ. სერვისებზე წვდომის შესაძლებლობის გაუმჯობესებას. პროექტი ასევე მოიცავს მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის მიმართულებით არსებულ მოდულებს (მაგ., „ჩემი იდეა მერს, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ციკლი და სხვ.) ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, საკითხი დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშნელოვანი კომპონენტია, თუმცა, ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში ინიციატივის ასახვა

სწორედ აღნიშნული მასშტაბებისა და მრავალმხრივი სერვისების განვითარების გამო, მნიშვნელოვნად მიაჩნია.

ინიციატივა: საერთო სასამართლოების საინფორმაციო ცენტრის შექმნა

იუსტიიცის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის, ალექსანდრე კურცხალიას თქმით, დღეს რომელიმე საქალაქო ან რაიონულ სასამართლოსთან დაკავშირება რიგ პრობლემებს უკავშირდება ზოგი მოქალაქისთვის. როგორც ალექსანდრე კურცხალიამ აღნიშნა, უწყების შიგნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ერთიანი ქოლცენტრის შექმნის მიმართულებით მუშაობს. საერთო სასამართლოებს საქართველოს მასშტაბით ექნებათ ერთი ნომერი, რომლის მეშვეობით ნებისმიერი საქალაქო თუ რაიონული სასამართლოს შესახებ სასურველი ინფორმაციის (სასამართლო საქმისწარმოების საკითხები, მათ შორის სარჩელის რეგისტრაციის თარიღი, სარჩელის ელექტრონული ნომერი, დავის საგანი, მხარისათვის უწყების ჩაბარების თარიღი, საქმის განმხილველი მოსამართლის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.) მიღება იქნება შესაძლებელი. მისი თქმით, საკითხი დღის წესრიგში იდგა 2019 წლიდან, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე, განხორციელება შეფერხდა.

ინიციატივა: კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება თავდაცვის სექტორში

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, მაკა პეტრიაშვილის თქმით, ინიციატივა სიახლეს არ წარმოადგენს და უწყება ამ მიმართულებით დაწყებულ რეფორმას აგრძელებს. თავდაცვის სამინისტრო კეთილსინდისიერების ამაღლების მიმართულებით თანამშრომლობს NATO-ს კეთილსინდისიერების ფონდთან, ასევე ევროკავშირის საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მხარდაჭერის პროექტთან. მაკა პეტრიაშვილის განცხადებით, უწყება ასევე ინფორმაციას აწვდის TI UK-ის, რომელიც ამ ინფორმაციას იყენებს ქვეყნის თავდაცვის კორუფციის ინდექსის კვლევისთვის. 2022 წელს დაგეგმილია კორუფციული რისკების ჭრილში თვითშეფასების განხორციელება, რომელიც განხორციელდება ნატოს სტანდარტებითა და გაიდლაინებით. თვითშეფასება მოიცავს ყველა სფეროს, მათ შორის პოლიტიკური და სამოქალაქო ზედამხვედველობა თავდაცვის სექტორზე, ასევე ფინანსების მართვა, შესყიდვები, პერსონალი და ა.შ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ TI UK-სთან პარტნიორობა სხვა კონტექსტში აღიქმებოდა ტექსტიდან. ამასთან დასძინა, რომ ინდექსთან დაკავშირებით საქართველო მოწინავე ქვეყნებშია, თუმცა, სწორედ კორუფციასთან და გამჭვირვალობასთან მიმართებით აქვს ქვეყანას დაბალი ქულები.

ინიციატივა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის გაზრდა

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მადონა კორძაძის თქმით, უწყებამ ეს ინიციატივა 2020 წელს წარმოადგინა, შესაბამისად, ნაწილი აქტივობები უკვე განხორციელებულია. როგორც უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, ტრენინგების პირველი ციკლი მოიცავდა ზოგად შესავალს ცნობიერების ამაღლების კუთხით ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხზე, ხოლო შემდგომ უკვე თავდაცვის უწყების თანამშრომლებისთვის ჩატარდა თემატური ტრენინგები, რომელთა გამეორებას უწყება შემდეგი ორი წლის განმავლობაში გეგმავს. ასევე, მადონა

კორძაძის თქმით, იგეგმება პერსონალური მონაცემების ზოგადი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება თანამშრომლებისთვის.

ინიციატივა: ტყის მართვის პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის შექმნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლის, ლიკა გიორგაძის თქმით, აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ტყის მართვაში გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა. ამ მიმართულებით კი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობა, მათი ჩართულობა და ტყესთან დაკავშირებული ინფორმაციის ღიაობა. ლიკა გიორგაძის თქმით, გასულ წელს პარტნიორებთან ერთად, უწყებამ დაიწყო მუშაობა, რათა შეიქმნას ერთიანი პლატფორმა, რომელიც შეკრებს ტყესთან დაკავშირებულ სანდო და უტყუარ ინფორმაციას, იქნება ერთგვარი მონაცემთა ბაზა ტყესთან დაკავშირებული საკითხების და, რაც მთავარია, მასზე განთავსებული ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. მისი თქმით, პლატფორმაზე განთავსებული იქნება ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ტყით სარგებლობის საკითხებს, იმ რესურსებს და შესაძლებლობებს, რომელზეც წვდომაც შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ მოსახლეობას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ასევე საინტერესო ინფორმაცია იქნება განთავსებული საინფორმაციო კვლევითი დაწესებულებებისთვის, რომელთაც შეეძლებათ ამ მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა კვლევა განახორციელონ. ლიკა გიორგაძის თქმით, პლატფორმა გამოყენებული იქნება გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტებისათვის, რათა მათ ზუსტ და სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ ტყის მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი გადაწყვეტილებები. ასევე, უწყების მიზანია, პლატფორმის საშუალებით აამაღლოს მოსახლეობის ცნობიერება ტყის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და აამაღლოს მოტივაცია, რომ ჩაერთონ ტყის მართვის პროცესებში.

ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა, ქეთი გუჯარაიძემ დასვა კითხვა, იქნება თუ არა ახალი პლატფორმა atlas.mepa.gov.ge-ის ნაწილი, რაზეც უწყების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ atlas.mepa.gov.ge-ს არ აქვს ანალიტიკის ფუნქცია და მასზე მხოლოდ მზა ინფორმაცია იტვირთება. შესაბამისად, როდესაც დასრულდება პლატფორმაზე მუშაობა, atlas.mepa.gov.ge იქნება მისი გარე სივრცე, სადაც უკანა სისტემაში უკვე დასინქრონებული ინფორმაცია აიტვირთება. ქეთი გუჯარაიძემ ასევე დასვა კითხვა, თუ ამ პლატფორმის შექმნა უკვე მიმდინარეობს, რატომ არის საჭიროება იმისა, რომ OGP-ის ახალ სამოქმედო გეგმაში აისახოს ვალდებულების სახით, რაზეც უწყების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უპირველესი მიზანი ამ პლატფორმის არის ის, რომ საჯარო მმართველობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების დროს სანდო წყარო იყოს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

ინიციატივა: გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა, მაია ბერაძემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინიციატივა და უწყების მიერ წარმოდგენილი ინიციატივა პორტალის შექმნის შესახებ, ემთხვევა ერთმანეთს. ასევე, უწყების პოზიციით, ინიციატივა უნდა დარჩეს OGP-ის ახალ სამოქმედო გეგმაში, რადგან საჭირო იქნება დონორის ჩართულობაც და ამისთვის OGP პლატფორმის გამოყენება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ

ინიციატივას (გზშ პროცედურის დახვეწასთან დაკავშირებით), უწყების წარმომადგენლები მზაობას გამოხატავენ 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც მესიჯების დაგზავნას გულისხმობს, სამინისტრო უკვე დაუკავშირდა ერთ-ერთ ოპერატორ კომპანიას, რათა სამინისტროს ინიციატივის საფუძველზე, მათ მიერ დაიგზავნოს ინფორმაცია მოსახლეობასთან. მე-2 პუნქტან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე იყოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი, როგორც მაია ბერაძემ აღნიშნა, უწყებას არ აქვს წინაღმდეგობრივი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, თუმცა რადგანაც თანხების მობილიზაციასთან არის დაკავშირებული, ამ წელს აღნიშნულის განხორიელება ვერ მოესწრება. შემდეგ რეკომენდაციაზე რაც დოკუმენტაციის ნაბეჭდი ვერსიის ხელმისაწვდომობას გულისხმობს, მაია ბერაძემ აღნიშნა, რომ ამ ხარვეზს გამოასწორებს უწყება და ამ ნაწილშიც ეთანხმება ინიციატორ ორგანიზაციას. კიდევ ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობს შესაბამისი დეპარტამენტის ტელეფონის ნომრის მითითებას, მაია ბერაძემ აღნიშნა, რომ საკონტაქტოდ მეილია მითითებული, რაც მისი თქმით, საკმარისი უნდა იყოს, თუმცა მსჯელობისთვის მზაობა გამოხატა. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშრებით, რომელიც საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გაზეთში გამოქვეყნების ვალდებულების გაუქმებას გულისხმობს, მაია ბერაძემ განაცხადა, რომ უწყება გაზეთს დატოვებს და დაამატებს სხვა საინფორმაციო წყაროებს. რაც შეეხება რეკომენდაციას ჰიბრიდული შეხვედრების ორგანიზების შესახებ, მაია ბერაძემ აღნიშნა, რომ ამ ნაწილში კანონში შედის ცვლილებები და იზიარებენ რეკომენდაციას; უწყებამ ასევე მზაობა გამოხატა გაითვალისწინოს ინიციატორის რეკომენდაცია და საჯარო განხილვების სათანადო ტექნიკით აღჭურვა უზრუნველყოს. საჯარო განხილვების ჩატარების ადგილთან დაკავშირებით, უწყება გამოხატავს მზაობას გაითვალისწინოს რეკომენდაცია და ამასთან დატოვოს ის წესი, რომელიც ახლა მოქმედებს. მაია ბერაძის თქმით, ის საკითხები, რომლებიც შეიძლება დარეგულირდეს საკანონმდებლო ცვლილების გარეშე, უწყება მზადაა შეიტანოს საჯარო განხილვის წესში, რომელიც კანონქვემდებარე აქტია, ხოლო, რაც საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს, უწყება ასევე მზაობას გამოხატავს დაიწყოს მუშაობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა ღია მმართველობა საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში

ქეთი ცანავას თქმით, სამდივნოსთვის პრიორიტეტად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობის კომპონენტი სამოქმედო გეგმაში. აქვე, სამდივნოს ხელმძღვანელმა აღნიშა, რომ სამდივნო ელოდება კონკრეტულ რეკომენდაციებს მათ შორის არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციებისგან, რომელიც მუნიციპალიტეტებს მიემართება. გარდა ამისა, ქეთი ცანავას განმარტებით, სამდივნო გეგმავს ცალკე თემატურ შეხვედრებს მხოლოდ მუნიციპალიტეტებთან, რათა კიდევ ერთხელ კარგად განემარტოთ მათ OGP-ის პრინციპები, ზოგადი სტრუქტურა, წარმატებული მაგალითები და ა.შ. მეორე მხრივ, კი ინფორმაცია მიაწოდოს OGP Local-ის შესახებ, რომელიც ახალი წევრების მიღებას იწყებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა, ნანა თავდუმაძემ დეტალურად ისაუბრა OGP Local-ის პროგრამაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოზურგეთი იყო ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი, რომელიც ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმას 2016 წელს შეუერთდა და ორ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აქტიურად მიიღო მონაწილეობა. როგორც ნანა თავდუმაძემ აღნიშნა, ეს იყო თანამონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესი, რომელშიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდენ. ნანა თავდუმაძემ აქტიური მხარდაჭერისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ღია

მმართველობა საქართველოს სამდივნოს და USAID/GGI-ის პროგრამას. როგორც ნანა თავდუმაძემ აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპლალიტეტმა დანერგა სამოქალაქო მონაწილეობის სხვადასხვა პლატფორმები, რომლებიც მოქალაქეებისგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ნანა თავდუმაძემ ყურადღება გაამახვილა OGP Local-ის მნიშნელობაზეც და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა ეს შანსი უნდა გამოიყენონ და წევრობაზე განაცხადი გააკეთონ. მისი თქმით, OGP Local-ის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა საკმაოდ ამბიციური მიზნები დაისახა - *საჯარო სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის* და *მათ საჭიროებებზე რეაგირების გაუმჯობესება.* რაც შეეხება *კორუფციის რისკების მართვის სისტემის გაუმჯობესებას*, როგორც ნანა თავდუმაძემ აღნიშნა, შემუშავდა რისკების შეფასების მეთოდოლოგია და ახლა ოზურგეთის მერის მიერ დამტკიცდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავებს. რაც შეეხება კიდევ ერთ ვალდებულებას - *მუნიციპალიტეტებში საჯარო ფინანსების მართვის პროცესების გაუმჯობესებას,* ნანა თავდუმაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც გატარდა ღონისძიებები და მოქალაქეთა ჩართულობით პროექტებით დაიგეგმა.

USAID/GGI-ის წარმომადგენელმა, მიშა დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ GGI 7 წლის მანძილზე ძალიან აქტიურად იყო ჩართული OGP-ის პროცესებში და მათი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო მუნიციპალიტეტების საქმიანობა კიდევ უფრო გამჭვირვალე და ღია გამხდარიყო. მიშა დარჩიაშილმა გამოყო რამდენიმე საკითხი, რომელიც მისი მოსაზრებით, გათვალისწინებული უნდა იყოს ღია მმართველობის ან ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში. როგორც მიშა დარჩიაშილმა განაცხადა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან თანამშრომლობით, საქართველოს ექვს მუნიციპალიტეტში დაინერგა კორუფციული რისკების შეფასების სისტემა, TI საქართველომ შეიმუშავა მუნიციპალიტეტების სპეციფიკაზე მორგებული მეთოდოლოგია, რომელიც რიგმა მუნიციპალიტეტმა უკვე დაამტკიცეს. ასევე, მისი თქმით, მომზადდა კორუფციული რისკების შეფასების დოკუმენტი, სადაც დეტალურად გაწერილია პოტენციური რისკები და შესაბამისი ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა რისკების აღმოსაფხვრელად. მიშა დარჩიაშვილის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ამ პრაქტიკას სხვა მუნიციპალიტეტებიც დანერგავდნენ და ეს გახდებოდა OGP-ის სამოქმედო გეგმის ან ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის კონკრეტული ვალდებულება, რომელზეც ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა OECD/ACN და GRECO მიგვითითებენ. როგორც მიშა დარჩიაშილმა აღნიშნა, GGI ასრულებს საქმიანობას, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ შემდგომი პროგრამა, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეხმარება ამ მნიშვნელოვან საკითხებზე გააკეთებს აქცენტს.

UNDP-ის წარმომადგენელმა, გიორგი ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ანტიკორუფციული რისკების შეფასების სისტემის შექმნა და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტების გაძლიერება ნამდვილად არის UNDP-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. გიორგი ნასრაშვილის თქმით, წინა სამოქმედო გეგმაში რამდენიმე მუნიციპალიტეტს ჰქონდა აღებული ვალდებულება შეემუშავებინა კეთილსინდისიერების ამაღლების სტატეგიები და სამოქმედო გეგმები და კარგი იქნება, თუ ეს პრაქტიკა ახალ სამოქმედო გეგმაშიც გაგრძელდება. გიორგი ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ UNDP დაეხმარება მუნიციპალიტეტს ამ პროცესში და აქვე დასძინა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოტენციურ პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან.

სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ აღნიშნა, რომ ფორუმის შეხვედრის ერთ-ერთი მიზანია განხილულ იქნეს მისაღებია, თუ არა ფორუმისთვის, რომ მუნციპალიტეტების კომპონენტი იყოს

სამოქმედო გეგმაში, ხოლო შემდგომ ეტაპზე კონკრეტული განხილვები დაიგეგმოს მათი ჩართულობით. **საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ონიანმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებთან შეხვედრას მათი ორგანიზაციის მხრიდანაც დაესწრებიან და მუნიციპალიტეტებს მიაწვდიან ინფორმაციას და მათ გამოცდილებას OGP-სა და მისი პრიორიტეტების შესახებ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა, დავით მაისურაძემ აღნიშნა, რომ ორგანიზაცია აჭარის უმაღლეს საბჭოს ორი წლის წინ დაეხმარა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და წელსაც აპირებს ანალოგიური მხარდაჭერა გაუწიოს. დავით მაისურაძემ კითხვა დასვა, იმ შემთხვევაში, თუ აჭარის უმაღლესი საბჭო ვერ გახდება OGP Local-ის წევრი, შესაძლებელია თუ არა ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას შეუერთდეს და მუნიციპალიტეტების მსგავსად, ეროვნული სამოქმედო გეგმის ნაწილი გახდეს. სამდივნოს ხელმძღვანელის, ქეთი ცანავას პასუხის შესაბამისად, თუ მუნიციპალიტეტი ხდება OGP Local-ის წევრი, ის დამოუკიდებლად აგრძელდებს OGP-ში საქმიანობას მის მიერ შემუშავებული გეგმის ფარგლებში, თუმცა რჩება ფორუმის წევრად. რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საბჭოს ეროვნული სამოქმედო გეგმის პროცესში ჩართვას, ქეთი ცანავამ აღნიშნა, რომ პრობლემა არ უნდა იყოს და შესაძლებელია ამის შესახებ მსჯელობის გამართვა.

ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელმა, ქეთი გუჯარაიძემ აღნიშნა, რომ პარლამენტში დასრულდა თემატური მოკვლევა, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მდგომარეობის შესწავლას. მან იმედი გამოთქვა, რომ როდესაც მუნიციპალიტეტები თავიანთ პრიორიტეტულ მიმართულებებს შეისწავლიან, მათ შორის ამ დოკუმენტითაც იხელმძღვანელებენ.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) წარმომადგენელმა, ნანი მაჭარაშვილმა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ახალი ფაზის ფარგლებში შეგროვებულ ინფორმაციაზე გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მიმართულება არის ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე ორიენტირებული. სწორედ აქედან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, თუ ინფორმაცია შეიკრიბებოდა, გააანალიზდებოდა პრობლემების ჩამონათვალი და იქიდან გამოიკვეთებოდა პრიორიტეტული მიმართულებები მუნიპალიტეტებისთვის. ნანი მაჭარაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ PAR-ში მხარი დაუჭირეს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპონენტის ინტეგრირებას სხვა მიმართულებებში და არა მის ცალკე კომპონენტად გამოყოფას. **სამდივნოს ხელმძღვანელმა, ქეთი ცანავამ** ფორუმს საჯარო მმართველობის რეფორმაზეც მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ პრობლემების იდენტიფიცირების ეტაპზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება აღარ იქნება რეფორმის მეექვსე, დამოუკიდებელი მიმართულება და ეს თემატიკა დანარჩენ სხვა ხუთ მიმართულებაში გადანაწილდება, რათა ყველა სფეროში იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობები. აქვე ქეთი ცანავამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებთან შეხვედრის დროს გათვალისწინებული იქნება შემოთავაზება, რომ ვალდებულების განსაზღვრის დროს OGP-ის თემატური მიმართულებები იქნეს მხედველობაში მიღებული და არა ზოგადად ყველა თემა.

ბათუმის მუნიციპლაიტეტის საკრებულოს წევრმა, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ აჭარის უმაღლესი საბჭოს ჩართულობით ექვსივე მუნიციპალიტეტთან გაძლიერდება მუშაობა OGP-ის მიმართულებით და საბჭო OGP-ის ეროვნულ პროცესს შემოუერთდება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ონიანმა შეხვედრის შეჯამების ნაწილში აღნიშნა, რომ სასურველია, ფორუმის ორი შეხვედრის ფარგლებში განხილული საკითხები ასევე განხილულ იქნეს OGP საბჭოს ფორმატში.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, რევაზ ჯაველიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის გამართვამდე კიდევ არის დრო, რომელიც გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ პრიორიტეტულ საკითხებზე პოზიციები დაახლოვდეს. როგორც რევაზ ჯაველიძემ აღნიშნა, ადმინისტრაციის მენეჯმენტი შეეცდება, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა გაგრძელდეს და პროცესი ხელშესახები შედეგებით დასრულდეს, თუმცა შესაძლებელია, რომ ყველა საკითხზე შეთანხმება ვერ შედგეს.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ნანი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ GIPA, საჯარო მმართველობის მიმართულებით მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მზადყოფნას გამოთქვამს რამდენიმე წინადადებით შემოვიდეს პროცესში და აკადემიური სექტორის მხრიდან წარადგინოს ინიციატივები, რომელსაც ექნება პრეტენზია ინოვაციურობაზე, არ იქნება მხოლოდ ერთ უწყებაზე მორგებული და დაფარავს ყველა უწყებას. **სამდივნოს ხელმძღვანელმა ქეთი ცანავამ** კომენტარის პასუხად აღნიშნა, რომ სამდივნო მზადყოფნას გამოხატავს განიხილოს რეკომენდაციები და, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეც იმსჯელოს აკადემიურ სექტორთან ერთად.

შეხვედრის დასასრულ, ქეთი ცანავამ შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რიგ საკითხებზე სამდივნო ფორუმს ვიწრო სამუშაო შეხვედრების ფორმატში დაუბრუნდება.

ფორუმის შეხვედრის მონაწილეები

უწყება/ორგანიზაცია	მონაწილე	პოზიცია
მთავრობის ადმინისტრაცია	რევაზ ჯაველიძე	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
	ვახტანგ ქათამაძე	პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი
	ქეთი ცანავა	საჯარო მმართველობის სამმართველოს უფროსი, OGP საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელი
	ანა ბარისაშვილი	OGP საქართველოს სამდივნო
	სოფო ბურდული	OGP საქართველოს სამდივნო
	ნუცა ჩალაური	OGP საქართველოს სამდივნო
თავდაცვის სამინისტრო	მადონა კორძაძე	ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის განყოფილების უფროსი

	მაკა პეტრიაშვილი	ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
იუსტიციის სამინისტრო	ლანა მორგოშია	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მ.შ.
	გრიგოლ წაქაძე	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	გიორგი სოფრომაძე	გენერალური დირექტორის მოადგილე
სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ირინე კვაჭანტირაძე	საჯარო პოლიტიკის კოორდინატორი
სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	ანა უცუნაშვილი	სერვისების და ბრენდის განვითარების სამსახურის უფროსი
ეკონომიკისა და მდგრადი	მარიამ ბეგოიძე	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
განვითარების სამინისტრო		
საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	ნათია მიმინოშვილი	საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	ანა ბუტულაშვილი	სააგენტოს უფროსის მოადგილე
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	ლევან გელაშვილი	თავმჯდომარის მრჩეველი
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ანა ლუკავა	საერთაშორისო თანამშრომლობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი
სსიპ - შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი	გიორგი ლობჟანიძე	პროექტის მენეჯერი / Project Manager
	თინათინ გახოკიძე	პროექტების მენეჯერი
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნინო ქადაგიშვილი	კოორდინატორი
	გიორგი მუნჯიშვილი	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილე
	სალომე აბრამიშვილი	საგანმანათლებლო სერვისების
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ნიკოლოზ როსებაშვილი	ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სალომე დვალი	გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს ხელმძღვანელი
	ზაზა ნონაშვილი	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	მაია ბერაძე	გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსი
	მარიამ გაიმარჯვაშვილი	პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის სოფლის განვითარებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	ლიკა გიორგაძე	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	ეკატერინე ბენდელიანი	დირექტორის მოადგილე
		განვითარების სამსახურის უფროსი
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	ლიკა ქოქიშვილი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში	ლია გიგაური	სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი
საგარეო საქმეთა სამინისტრო	ნინო შეყრილაძე	გაეროს სამმართველოს უფროსი
	თამარ გრიგოლაია	II მდივანი
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	ალექსანდრე კურცხალია	სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი კონსულტანტი
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	ეკატერინე ქარდავა	ბიუროს უფროსი
	ირინა აღაპიშვილი	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი
	ანა კობერიძე	მთავარი სპეციალისტი
საქართველოს პარლამენტი	მაია ხმალაძე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მდივანი
შინაგან საქმეთა სამინისტრო	თამარ მაღრაძე	ანალიზისა და კვლევის განყოფილების უფროსი

ადგილობრივი თვითმმართველობა		
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	სოფიო ყანჩაველი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილება. უფროსი სპეციალისტი
	ნათია გახოკიძე	საზოგადოებას ურთიერთობის განყოფილების უფროსი
	გენადი ბალანჩივაძე	მერი
	შოთა ნუცუბიძე	ზედამხედველობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	ელენე კრავცოვა	ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
ხონის მუნიციპალიტეტის მერია	ამირან კინწურაშვილი	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
	თამარ უგულავა	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნანა თავდუმაძე	საკრებულოს აპარატის უფროსი
	ლავრენტი ბიგვავა	თავმჯდომარის მოადგილე
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნატალია ზოიძე	წევრი
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	ნანა სვანიძე	საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი სპეციალისტი
	შორენა ხუხუა	საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორიოს პროექწტების განყოფილების ხელმძღვანელი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	ილია ზარდიაშვილი	მერის პირველი მოადგილე
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები		
CoE	დიანა ენდელაძე	პროექტის ასისტენტი
GIZ/EaP Regional Fund for PAR	თეონა დვალი	პროექტის ექსპერტი
USAID	ლინა პანტელეევა	მმართველობის სპეციალისტი
USAID/GGI	ლევან სამადაშვილი	GGI პროგრამის ხელმძღვანელი

	მიხეილ დარჩიაშვილი	მმართველობის პროგრამის მენეჯერი
	მარიამ გორგაძე	GGI პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
UNDP	გიორგი ნასრაშვილი	კარგი მმართველობის ექსპერტი
	სოფო ომანაძე	M&E
	გიგი ბრეგაძე	დემოკრატიული მმართველობის გუნდის ხელმძღვანელი
	ნინო კაკუბავა	პროეტის მენეჯერი
	ნათია წიქვაძე	პოლიტიკისა და შესაძლებლობების გაძლიერების სპეციალისტი
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ალექსანდრე ქევხიშვილი	პროექტის მენეჯერი
	გიორგი ონიანი	დირექტორის მოადგილე
	მარიამ მამნიაშვილი	ანალიტიკოსი
	ლილი ლეჟავა	უფროსი ანალიტიკოსი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	დავით მაისურაძე	ღია მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი
მწვანე ალტერნატივა	ქეთი გუჯარაიძე	ანალიტიკოსი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი	თათული ჭუბაბრია	სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი
	მარიამ ჯანიაშვილი	პროექტის კოორდინატორი/მკვლევარ-იურისტი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სალომე საღარაძე	პროექტების კოორდინატორი
	ნინო კაპანაძე	ანალიტიკოსი
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	ლევან ფანიაშვილი	ადვოკატირების ოფიცერი
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა)	თამარ აბდალაძე	პროექტის კოორდინატორი
GIPA	ნანა მაჭარაშვილი	საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

OGP IRM	ნოდარ ხერხეულიძე	Independent Reporting Mechanism (IRM)
OGP საერთაშორისო სამდივნო		
OGP საერთაშორისო სამდივნო	მარინა მხითარიანი	აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მენეჯერი